ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.01.19

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/19

შეკითხვა:

შეუძლია თუ არა ადვოკატს გაასაჩივროს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება და მეორე ეტაპზე საქმის განხილვისას კოლეგიას რომელი დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე შეუძლია მსჯელობა?

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა დ დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით დარეგულირებულია ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპები. საქმის წარმოება მიმდინარეობს არაუმეტეს ორ ეტაპად: საპროცესო კოლეგიაში და განხილვის კოლეგიაში.

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია იღებს დისციპლინური დევნის არ აღძვრის ან აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილებას. საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ ეთიკური ვალდებულებების სავარაუდო დარღვევის თაობაზე, საქმე გადადის მეორე ეტაპზე. საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრის არ დაკმაყოფილების ან ადვოკატის მიმართ დევნის აღძვრის თაობაზე არის საბოლოო და არ საჩივრდება (დებულება, მუხლი 40).

მეორე ეტაპზე დისციპლინური საქმის განხილვისას, კოლეგიის უფლებამოსილებაა ადვოკატს დააკისროს დისციპლინური სახდელი, ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, ან უარი თქვას დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. ადვოკატისთვის

დისციპლინური სახდელის დაკისრებისას, კომოსია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის სიმძიმეს და მიყენებულ ზიანს.

იმ შემთხვევაში, თუ განხილვის კოლეგია დისციპლინური საქმის განხილვის პროცესში მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, განხილვის კოლეგია დისციპლინური საქმეს განსახილველად გადასცემს ეთიკის კომისიას. დისციპლინური სახდელის დადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება საქართველოს უზენაეს სასამართლოს სადისციპლინო პალატაში საჩივრის შეტანის გზით, შეუძლია ადვოკატს, გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან 1 თვის ვადაში.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.